შპს „ახალი ქსელების“

საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა
და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების (წამოწყება/დასრულება)
მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევა ოფერტაზე)

წინამდებარე შეთავაზების წინადადება (ოფერტა) შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის № 428/9 და 2014 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ახალი ქსელებისათვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესაბამისად და იგი არეგულირებს „ახალი ქსელების“ საკუთარ ქსელთან საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების (წამოწყება/დასრულება) მომსახურების პირობებს.

1.შპს „ახალ ქსელებს“ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1.შპს „ახალ ქსელებს“ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება დაეკისრა შემდეგ გეოგრაფიულ ზონებში:

ა)თბილისის ადგილობრივიმომსახურებისზონა;

ბ)ქუთაისის ადგილობრივი მომსახარების ზონა;

1.1.2 შპს „ახალი ქსელებს"საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარის ტერმინაცია დაეკისრა კომისიის გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად ახალი ქსელები ადგენს ტერმინაციის პირობებს წინამდებარე მოწვევის ოფერტით და განსაზღვრავს, რომ

- საქართველოში შემომავალ საერთაშორისო ზარად მიჩნეულ იქნება ნებისმიერი სატელეფონო ზარი, რომლის ნომერიც არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული ნუმერაციის გეგმით განსაზღვრულ სანომრე რესურს;

- შპს „ახალი ქსელები“ იტოვებს უფლებას სხვა ავტორიზებული პირისგან შემომავალი ნებისმიერი სატელეფონო ზარი მიიჩნიოს საეჭვოდ და აღნიშნული ეჭვის თაობაზე მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას ურთოიერთჩართვის შეჩერების მოთხოვნით, ვიდრე არ დადგინდება და არ გამოირიცხება ყოველგვარი ეჭვი შემომავალი ზარის წამომწყები ოპერატორის თაობაზე;

1.2.ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების სატელეფონო სადგურების ინდექსები, მისამართები და ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა:

ახალი ქსელები (თბილისი)

ასს-ის ინდექსი	მომსახურების იწოდების მისამართი	ინტერფეისი
33	ჩიქოვანის ქ. № 16	SS7, 703
69	ე. ბეჟანიშვილის ქ. №11	SS7, 703

ახალი ქსელები (ქუთაისი)

ასს-ის ინდექსი	მომსახურების მიწოდების მისამართი	ინტერფეისი
4	თამარ მეფის ქ. № 22	SS7, 703

2. მომსახურების ტარიფები:

ძირითადი ქსელის ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფიქსირებული და მოძრავი საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ადგილობრივი მომსახურების ზონაში ზარის წამოწყება/დასრულების მომსახურების ტარიფები:

2.1. ქ. თბილისში და ქ.ქუთაისში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი 2 (ორი) თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით;

2.2. ადგილობრივი ზარის ტრანზიტული გატარებისთვის მომსახურების ტარიფი შეადგენს ადგილობრივი ზარის დასრულების ტარიფს დამატებული ტრანზიტული მომსახურების 0.01 ლარი - 1 წუთი ;

2.3. ერთი გეოგრაფიული ზონიდან მეორე გეოგრაფიულ ზონაში ტანდემური ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი შეადგენს ქ. თბილისში და ქ.ქუთაისში 3 (სამი) თეთრს- 1 წუთი, ქ. ზესტაფონში; ქ.თერჯოლა და ქ.ფოთში 5 (ხუთი) თეთრი (დღგ-ს ჩათვლით) -1წუთი.

2.4. ქ. ზესტაფონში; ქ.თერჯოლა და ქ.ფოთში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი 4 (ოთხი) თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით;

2.5. საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) მომსახურების ტარიფი მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის (შპს ”ჯეოსელი”, შპს ”მაგთიკომი”, შპს “მობიტელი“, სს „სილქნეტი“,შპს

„ახტელი“, შპს „ივერია ქსელი“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“) შეადგენს:

ა) მოძრავ საკომუნიკაციო ქსელებში ზარის ტერმინაცია: 0,20 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი;
ბ) ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელებში ზარის ტერმინაცია: 0,12 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი;

2.6. წინამდებარე ოფერტის 2.5.-პუნქტში აღნიშნული პირების გარდა სხვა ავტორიზებული პირების ქსელში საერთაშორისო ზარების ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) მომსახურების ტარიფი შეადგენს:

ა) მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ქსელში ზარის ტერმინაცია: 0,16 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი;
ბ) ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ქსელში ზარის ტერმინაცია: 0.09 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი;

2.7. საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის ტრანზიტული გატარებისთვის მომსახურების ტარიფი, წინამდებარე ოფერტის 2.5.-პუნქტში აღნიშნული ავტორიზებული პირების ქსელში შეადგენს:

ა) მოძრავ საკომუნიკაციო ქსელებში ზარის ტერმინაციის ტარიფს- 0,20 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი, დამატებული ტრანზიტული მომსახურების 1 თეთრი - 1 წუთი ;
ბ) ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელებში ზარის ტერმინაციის ტარიფს - 0,12 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი, დამატებული ტრანზიტული მომსახურების 1 თეთრი - 1 წუთი;

3. ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს *განაცხადი,* რომელიც უნდა შეიცავდეს:

3.1 წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
3.1.1 საფირმო სახელწოდება;
3.1.2 იურიდიული და ფაქტიური მისამართები;
3.1.3 ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი და ფაქსის ნომრები;
3.1.4 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკოტაქტო ნომერი;
3.1.5 საქმიანობის სახეები რაზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში (შემდგომში - კომისია) გავლილი აქვს ავტორიზაცია;
3.1.6 არსებული ლიცენზიები/ნებართვები და ნუმერაციის რესურსები;
3.1.7 ქსელის აღწერა;
3.1.8 სიგნალიზაციის ტიპი;
3.1.9 გამოყენებული ინტერფეისი;

3.1.10 საერთაშორისო და ადგილობრივი ტრაფიკის სავარაუდო მოცულობები;
3.1.11 განსაზღვროს ცალ-ცალკე გამოყოფილი არხები საერთაშორისო და ადგილობრივი ტრაფიკის დასრულებისთვის.
3.1.12 მომსახურების სახეები, რომლის მიღებაც სურს;
3.1.13 საკონტაქტო პირების სახელი გვარი და ტელეფონის ნომრები.
3.2 წერილობით განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
3.2.1 ავტორიზაციის მოწმობის ასლი;
3.2.3 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
3.2.3 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
3.2.4 ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3.2.5 რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის სალიცენზიო მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3.2.6 ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც გულისხმობს გამოუხმობად საბანკო გარანტიას ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი ფულადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (ახალი ქსელებს), ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. საბანკო გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. საბანკო გარანტია მოწონებულ და დადასტურებულ უნდა იქნას ახალი ქსელებისაგან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა – გულისხმობს, მსურველი პირის მიერ ახალი ქსელების ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, ახალი ქსელებს ეძლევა უფლება კონტრაჰენტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საგარანტიო თანხიდან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს.
3.2.7 მსურველი პირი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს ერთი თვის განმავლობაში სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა. საბანკო გარანტიის და ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა უნდა შეესაბამებოდეს კონტრაჰენტის მიერ ახალი ქსელებისათვის 2(ორი) თვის განმავლობაში გადასახდელი თანხის ოდენობას.
3.2.8 საერთაშორისო ზარების დასრულების შემთხვევაში მსრუველი/ურთიერჩართული ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს განაცხადში დაფიქსირებული ტრაფიკის მოცულობისთვის ახალი ქსელებისთვის გადასახდელ თანხის 2 (ორი) თვის ოდენობას და 4 000(ოთხი ათასი) ლარს, თითოეულ გამოყოფილ არხზე (საერთაშორისო ზარების დასრულებისათვის).
3.3 3.1.10-3.1.11; 3.2.6-3.2.8; პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა აუცილებელია იმ ავტორიზებული პირებისათვის, რომელთაც ახალი ქსელებთან არ ჰქონიათ სამართლებრივი ურთიერთობა წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურების მიღებაზე ან წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მსურველი პირი არ ან არაჯეროვნად ასრულდებდა ახალი ქსელების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და ურთიერთჩართული პირებისთვის, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებით. იმ შემთხვევაში, თუ

ახალი ქსელებისათვის ურთიერთჩართული ოპერატორი, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას, ახალი ქსელები იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ ოპერატორს 3.2.6-3.2.7 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

3.4 იმ შემთხვევაში, თუ მსურველი პირის მხარეს არსებობს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება ახალი ქსელების წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წერილობითი განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად ახალი ქსელების მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის შესაბამისად.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი არ აკმაყოფილებს 3.1. და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მსურველ პირს 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 3.6 და 3.7 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ. შესაძლებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 3.2.6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ახალი ქსელებისათვის წარდგენის დღიდან.

3.6 იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შედგენილია 3.1. და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილია წინამდებარე ოფერტისგან განსხვავებული ურთიერთჩართვის განხორციელების პირობები, ახალი ქსელები 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის განაცხადში მითითებული სქემით ურთიერთჩართვის განხორციელების მიზანშეწონილობას და აცნობებს მსურველ პირს.

3.7 წინამდებარე 3.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ურთიერთჩართვის განხორციელება განაცხადში მოთხოვნილი სქემის მიხედვით, მიიჩნევა რომ განაცხადი არ აკმაყოფილებს წინამდებარე მოწვევის ოფერტის პირობებს და 3.8 და 3.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ახალი ქსელები შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს მსურველ პირს ალტერნატიულ ვარიანტს, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან დამატებით. ურთიერთჩართვის განხორციელების სქემის შეთანხმების შემდგომ, მსურველი პირი ვალდებულია ხელახლა მიმართოს ახალ ქსელებს განაცხადით.

3.8 3.1 და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში მსურველ პირს გადაეცემა ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მსურველი პირი ვალდებულია 5(ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს ახალი ქსელებს შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. ახალი ქსელები შემდგომი 5(ხუთი) დღის განმავლობაში, უგზავნის ხელშეკრულების ორმხრივად შეთანხმებული ვერსიის ხელმოწერილ ეგზემპლარს, მსურველ პირს. მსურველი პირი ვალდებულია 5(ხუთი) დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი გადასცეს ახალი ქსელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წინამდებარე ოფერტაზე აქცეპტი არ განხორციელებულა და ახალი ქსელებსა და მსურველ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.

3.9 მხარეები ვალდებულნი არიან ზედმიწევნით დაიცვან 3.8 პუნქტით

გათვალისწინებული ვადები და განაცხადის წარმოდგენიდან 20(ოცი) დღის განმალობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

3.10 იმ შემთხვევაში, თუ მსუველი პირის მიერ განსაზღვრული სავარაუდო ტრაფიკი ხელშეკრულების მოქმედების განმალობაში გაიზრდება (ან გადააჭარბებს განაცხადში დაფიქსირებულ ტრაფიკის ოდენობას), იგი ვალდებულია პროპორციულად გაზარდოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია (საბანკო გარანტია ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა).

3.11 ყველა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირი, რომელიც უკვე სარგებლობს საერთაშორისო ზარის ახალი ქსლების ქსელში დასრულების/ტერმინაციის მომსახურებით, ვალდებულია მიმართოს ახალ ქსელებს წერილობითი განაცხადით, სადაც მითითებული იქნება 3.1.10-3.1.11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენა წინამდებარე ოფერტის 3.2.6-3.2.8 პუნქტების შესაბამისად.

3.12 ყველა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირი, რომელიც წინამდებარე ოფერტის გამოქვეყნების დღისათვის უკვე სარგებლობს საერთაშორისო ზარის ახალი ქსელების ქსელში დასრულების/ტერმინაციის მომსახურებით, ვალდებულია 2014 წლის 1 ნოემბრამდე გააფორმოს ახალი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის პირობების გათვალისწინებით. ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის და 3.11 პუნქტით გათვალისწინებული პირების მხრიდან ხელშეკრულების შესრულების გარანტიის არ წარმოდგენის შემთხვევაში, ჩაითვლება უარად წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე და წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში, ახალი ქსელები აღარ გაუწევს წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

4. ანგარიშსწორების პირობები

მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე შედგენილი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ტრაფიკის მოცულობა წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს წარმოდგენილ მონაცემებს შორის დაფიქსირდა სხვაობა და ეს სხვაოა არ არის 1.5%-მეტი, მხარეებს მიერ მისაღები თანხები აღიარებულ იქნება ბილინგის ურთიერთმონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სხვაობა 1.5%-ზე მეტია, ანგარიშსწორება მხარეებს შორის იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ არასადაო ნაწილზე. სადაო ნაწილზე მხარეები აწვდიან ერთმანეთს სასადგურო ჩანაწერებს. სხვაობის მიზეზის დადგენის შემთხვევაში მხარეები 5 სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებენ გადაანგარიშებას შეთანხმების ოქმის საფუზველზე. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეები მიმართავენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „ოფერენტს“ აქვს უფლება დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5 თანალოკაციის ფართთან დაშვება

5.1. *თანალოკაციის ფართთან დაშვების მისამართები:*

5.1.1 ქ. თბილისში
- ასს-33 ჩიქოვანის ქ. №16;
- ასს-69 ე. ბეჟანიშვილის ქ. №11

5.1.2. ქ. ქუთაისში
- ასს-4 თამარ მეფის ქ. 22

5.2. ადგილობრივი დაშვების თანალოკაციის ფართი:

ასს-ის ინდექსი	მისმართი	თავისუფალი ფართი (კვ მ)
თბილისში 33	ჩიქოვანის ქ. №16	3.5
69	ე.ბეჟანიშვილის ქ. №11	3.0
ქუთაისში 4	თამარ მეფის ქ.№22	3.0

შენიშვნა: თანალოკაციის ფართები უზრუნველყოფილია ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისათვის საჭირო, სათანადო კონდიცირებით და ტენიანობით.

5.3.. თანალოკაციის ფართის დაშვებაზე მსურველი ოპერატორი პირისაგან აქცეპტის თაობაზე განცხადების განხილვის პირობები და პროცედურები

5.3.1.თანალოკაციის ფართის დაშვებაზე მსურველი ოპერატორი განცხადებით მიმართავს შპს „ახალ ქსელებს“. განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის მოწმობის ასლი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმებას პირველად ითხოვს ოპერატორი, ან ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვს ოპერატორი, რომლის ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და რომელსაც მანამდე მოქმედი ხელშეკრულებით უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა შემთხვევა აღიარებული ვადადამდგარი ვალდებულების შეუსრულებლობისა.

განცხადებაში უნდა მიეთითოს:

ა)თანალოკაციის ფართზე დაშვებაზე მსურველი ოპერატორის საფირმო სახელწოდება, იურიდიული და ფაქტიური მისამართები, ტელეფონი. ელფოსტა, ფაქსი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი;

ბ) განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს თანალოკაციის ფართის გამოყოფის აუცილებლობა;

გ) თანალოკაციის ფართზე გასანთავსებელი ტექნიკური საშუალებების აღწერილობა, ექსპლუატაციის სათანადო პირობები (განსათავსებელი აპარატურის მოთხოვნილი ელექტროენერგიის პარამეტრები, სამუშაო მიკროკლიმატის ქვედა და ზედა ზღვრები; და სხვა);

დ) თანალოკაციის ფართზე განთავსებელი ტექნიკური საშუალებების ზომები;
ე) განცხადებაში უნდა იყოს მსურველი ოპერატორის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოთ შეასრულებს „ახალი ქსელების“ მიერ გამოქვეყნებულ შეასბამისი მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტაში) დაფიქსირებულ ყველა პირობას.
ვ) გარემოს უვნებლობის დაცვის დასკვნა;

5.4. .თანალოკაციის ფართთან დაშვების ტარიფები:

„ახალი ქსელების“ თანალოკაციის ფართებთან დაშვებისა და მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული კომისიის 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილების №1 დასკვნის შესაბამისად:

5.4.1. *ქ.თბილისში*

ა) დაშვება თანალოკაციის ფართზე 1 კვ მ – 135.08 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

ბ) ტექნიკური პერსონალის დაშვების საათობრივი განაკვეთი (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში, წყლით, კონდიცირებით მომსხურება):

დღის სამუშაო საათებში – 7.37 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
დღის არასამუშაო საათებში – 8.12 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ღამის საათებში – 10.32 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

5.4.2. ქ.ქუთაისში

ა) დაშვება თანალოკაციის ფართზე 1 კვ მ – 147.06 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

ბ) ტექნიკური პერსონალის დაშვების საათობრივი განაკვეთი (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში, წყლით, კონდიცირებით მომსხურება):

დღის სამუშაო საათებში – 7.15 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
დღის არასამუშაო საათებში – 7.87 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ღამის საათებში – 10.02 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

შენიშვნა: მსურველი ოპერატორი ვალდებულია დააყენოს ელექტროენერგიის მრიცხველი და ქვეაბონენტად გაფორმდეს „თელასში“.

5.5. ანგარისწორების პირობები

„ახალი ქსელები“ და ავტორიზებული პირს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე საოქმო გადაწყვეტილის საფუძველზე „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „ოფერენტს“ აქვს უფლება დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.6. თანალოკაციის ფართის გამოყოფის პროცედურები და პირობები:

განმცხადებლის მიმართვიდან 10 კალენდარულ დღეში „ახალი ქსელები“ შეისწავლის;
ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციას და წერილობით განცხადებას;
ბ) ავტორიზირებულ პირს განცხადების შემოტანის მომენტისათვის ერიცხება თუ არა „ახალი ქსელების“ მიმართ დავალიანება. დავალიანების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

გ) განცახადების 10 კალენდარულ დღეში „ახალი ქსელები“ წერილობით აცნობებს განმცხადებელ ოპერატორს აკმაყოფილებს თუ არა იგი დაშვების პირობებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, აქცეპტი მიღებულად ითვლება განცხადების მიღების თარიღიდან, ხოლო უარყობითი პასუხის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

დ) დადებითი პასუხის შემთხვევაში „ახალი ქსელები“ ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 7 კალენდარულ დღეში თანალოკაციის ფართის დაშვებაზე მსურველ ოპერატორს გადასცეს ხელშეკრულების პროექტი.

ე) მსურველი ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს 3 კალენდარულ დღის ვადაში ოფერენტის თანდასწრებით ქირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო
რეესტრში და რეგისტრაციის საფასურის გადახდა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ხელშეკრულება არ იქნება რეგისტრირებული, ჩაითვლება, რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და ჩაითვლება, რომ „ახალ ქსელებს“ აქცეპტანთან არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

ვ) მსურველი ოპერტორის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 3 კალენდარულ დღის ვადაში, „ახალი ქსელები“ გასცემს წერილობით ნებართვას შესაბამის თანალოკაციის ფართზე აპარატურული კარადის განთავსების შესახებ, რომელიც გადაეცემა ავტორიზირებულ პირს და „ახალი ქსელების“ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ოპერატორის სახელწოდება, განთავსებული აპარატურული კარადის ზომა, მონტაჟის განმახორციელებელი პირის ვინაობა, ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), თანალოკაციის ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა.

ზ) ავტორიზებული პირი ვადებულია ნებართვის გაცემის 5 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს აპარატურული კარადის განთავსება თანალოკაციის ფართზე. განთავსების პროცესს უნდა დაესწროს „ახალი ქსელების“ წარმომადგენელი. აპარატურის განთავსების სამუშაოს დასრულების შემდეგ მხარეები გააფორმებენ მიღება-ჩაბარების ოქმს, სადაც მითითებული იქნება:

1. მონტაჟის განხორციელების თარიღი;

2. აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა;
3. აპარატურული კარადის ზუსტი ზომა (სამივე განზომილების მიხედვით);
   ა. განთავსებული აპარატურული კარადის ზუსტი ადგილმდებარეობა;
   ბ. აპარატურული კარადის საინდენტიფიკაციო ნიშანი.

5.7. თანალოკაციის ფართთან დაშვების წესები:

ავტორიზებულ პირების წარმომადგენელთა დაშვება მოხდება მხოლოდ იმ შენობაში, სადაც განთავსებულია მათი აპარატურული კარადა, სპეციალური საშვების საშუალებით, რომლის გაცემას ახორციელებს „ახალი ქსელების“ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი სათაო ოფისთან შეთანხმების საფუძველზე. შენობაში დაშვება ხორციელდება დღე-ღამის საათებში.

აპარატურის გადატანა, შენობაში, დემონტაჟი და შენობიდან გატანა ხორციელდება ოპერატორის წერილობითი მიმართვის და სათაო ოფისის ნებართვის საფუძველზე. აპარატურის გადატანა, შენობაში, დემონტაჟი და შენობიდან გატანა ფორმდება მიღება- ჩაბარების ოქმით, რომელშიც ასახული იქნება სამუშაოს ჩატარების თარიღი, სამუშაოების ტიპი , ოქმის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა. თანალოკაციის ფართზე განთავსებული აპარატურასთან დაშვება (დაზიანების არმოფხვრა ან პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარება) მხარეებს შორის ფორმდება სპეციალური ოქმით, სადაც მითითებული იქნება სამუშაოს ჩატარების თარიღი, სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო, სამუშაოს ჩატარების სახე და წარმომადგენელთა ვინაობა.

5.8. *დამატებითი სიმძლავრეების*, მათ შორის თანალოკაციის ფართის გამოყოფა განხორციელებულ იქნება, იგივე პროცედურეს დაცვით, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე მოწვევის ოფერტა, 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

5.9. ავარიულ და სარემონტო სამუშაოების დროს მსურველი ოპერატორი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს „ახალ ქსელებთან“ სამუშაოების ხასიათი, მისი დაწვრილებითი აღწერილობით და სამუშაოს შემსრულებელი პირების მითიეთებით. ექსტრაორდინალურ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების დროს „ახალი ქსელებისათვის“ მიყენებული ზარალის შემთხვევაში, ბრალეული მხარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავისი ბრალის თანაზიარად აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

6. ფიქსირებული საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და სატელეფონო ზარის წამოწყება/დასრულების ოფერტა ძალაშია 2014 წლის 1 ნოემბრიდან და ძალაშია 6 თვის ვადით. თუ მხარემ ვადის გასვლამდე არ შეიტანა მასში ცვლილებები იგი ავტომატურად გრძელდება იგივე ვადითა და პირობებით;

შპს „ახალი ქსელების“
დირექტორი ნ. *შარაშენიძე*